

**ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე**

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

სულხან ონიანი – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორები: ბ. თ. თ. თ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.05.2016

საჩივრის რეგისტრაციის №037/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. კ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. კ-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორთა პოზიცია:

- 1.1 2016 წლის 06 მაისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას მომართეს ბ. და თ. თ-ებმა და მოითხოვეს ადვოკატ მ. კ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
- 1.2 საჩივრის ავტორის თ. თ-ის განმარტებით, 2006 წელს დაუკავშირდა ადვოკატ მ. კ-ს, რათა მას დაეცვა მისი შვილის - ბ. თ-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. 2007 წელს ბ. თ-ის მშობლებსა და ადვოკატ მ. კ-ს შორის გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, ადვოკატს ბ. თ-ის ინტერესები უნდა დაეცვა ყველა ინსტანციის ინსტანციის სასამართლოში. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს ჰონორარის სახით გადაუხადეს 600 (ექვსასი) აშშ დოლარი.
- 1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი არაკვალიფიციურად უძღვებოდა საქმეს, კერძოდ, 2006 წელს, წინასწარი გამოძიების ეტაპზე დააყენა შუამდგომლობა სადაც აღნიშნა, რომ ბრალდებული ბ. თ მისდევდა და ხელი დაარტყა დაზარალებულ გ. ა-ს, როდესაც ეს ფაქტი პირიქით მოხდა. აგრეთვე, მას არ დაუთვალა იერებია შემთხვევის ადგილი და არ გაუკეთებია შემთხვევის ადგილის ნახაზი. ადვოკატი მ. კ არ ნახულობდა ბ. თ-ს.
- 1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა სასამართლოს არ წარუდგინა შუამდგომლობები, მოწმეების – მ. ჯ-სა და მ. ყ-ის დაკითხვის თაობაზე, ხოლო ძირითად მოწმე – ნ. ჭ-ს, რომელმაც

სასამართლო სხდომაზე შეცვალა ჩვენება, მხოლოდ ორი, არაფრისმომცემი კითხვა დაუსვა. სასამართლო სხდომებზე მოწმეებს არ უსვამდა ერთზე მეტ კითხვას და არ დაკითხა თვითმხილველი – ნ. ჯ. სასამართლო სხდომაზე დაცვით სიტყვაში მტკიცებულებად მოიყვანა მოწმე მ. ჯ-ს ის ჩვენება, რომელიც სასამართლო სხდომაზე არც განხილულა.

- 1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა არასწორი დოკუმენტი, კერძოდ, ს.ს.ი.პ ქალაქ თბილისის იურიდიული სამსახურის მიერ გაცემული N ორდერი, სადაც აღნიშნულია, რომ ბ. თ-ს იცავდა სახელმწიფოს ხარჯზე.
- 1.6 საჩივრის ავტორთა განცხადებით, 2012 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, ადვოკატმა შეწყვიტა მასთან კომუნიკაცია და აღარ უკავშირდებოდა მას. ადვოკატი სააპელაციო სასამართლოს არცერთ სხდომაზე არ გამოცხადებულა.
- 1.7 თ. თ-ის განცხადებით, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმისწარმოების დასრულების შემდეგ ადვოკატს მხოლოდ ერთხელ, შემთხვევით შეხვდა სასამართლო შენობის დერეფანში. საჩივრის ავტორის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ ადვოკატმა ბ. თ-თან დაკავშირება ვერ შეძლო, რადგან მისი დაცვის ქვეშ მყოფი ძებნაში იმყოფებოდა.
- 1.8 საჩივრის ავტორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში ბ. თ-ის უფლებების დაცვის მიზნით, დაუკავშირდნენ სხვა ადვოკატს, რომლის ძალისხმევით სააპელაციო სასამართლოში დადგა გამამართლებელი განაჩენი. შემდგომ, თ. თ-მ მიმართა ადვოკატ მ. კ-ს და მოითხოვა ჰონორარის სახით გადახდილი 600 (ექვსასი) აშშ დოლარიდან 400 (ოთხასი) აშშ დოლარის უკან დაბრუნება. თანხის დაბრუნებაზე ადვოკატი უარს აცხადებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 2016 წლის 24 ივნისს ადვოკატმა მ. კ-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, სადაც დაადასტურა, რომ იცავდა ბრალდებულ ბ. თ-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე.
- 2.2 ადვოკატის განმარტებით, ბ. თ-ის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების განხორციელება დაიწყო 2006 წელს, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 2007 წელს ბ. თ-ს მშობლებსა და ადვოკატს შორის გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ადვოკატის განცხადებით, კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას, წერდა შუამდგომლობებსა და დაესწრო სულ მცირე 15 სასამართლო პროცესს.
- 2.3 ადვოკატის განმარტებით, მოწმე მ. ჯ იყო ბ. და თ. თ-ების ნათესავი და მან თავად განაცხადა უარი სასამართლოში ჩვენების მიცემაზე. რაც შეეხება დანარჩენ მოწმეებს, სასამართლოში მათი დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის წარდგენა ვერ მოასწრო, რადგან სასამართლო სხდომის თარიღი დაგვიანებით შეატყობინეს. ადვოკატის განმარტებით, მან დააყენა შუამდგომლობა გამომძიებელ ლ. ჯ-თან და მასთან ერთად გამოიკვლია შემთხვევის ადგილი.
- 2.4 ადვოკატის განცხადებით, მისთვის ჰონორარის სახით გადახდილი 600 (ექვსასი) აშშ დოლარი წარმოადგენდა მიზერულ თანხას, რომელიც ძლივს ფარავდა ბ. თ-ის საქმის ხარჯებს.
- 2.5 ადვოკატის განცხადებით, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, საადვოკატო მომსახურების განხორციელება შეწყდა ბ. თ-ის საქმეზე, თუმცა ამის შემდგომ, ის რამდენჯერმე შეხვდა და ესაუბრა თ. თ-ს. სააპელაციო სასამართლოში მან ვეღარ შეძლო კლიენტის ინტერესების დაცვა, რადგან თავად საჩივრის ავტორები აღარ უკავშირდებოდნენ მას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის ფაქტი, რომ ის თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმში მითითებულია, როგორც სახაზინო ადვოკატი, რაც წარმოადგენს მექანიკურ შეცდომას და განზრახ არ არის გამოწვეული. ადვოკატის განცხადებით, ბ. თ-თან შეხვედრას ვერ ახერხებდა იმის გამო, რომ ის არ ცხადდებოდა პრობაციის დაწესებულებაში და მასზე ძებნა იყო გამოცხადებული.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 14 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. კ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღმძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა მ. კ-მა შეწყვიტა საჩივრის ავტორის ბ. თ-ის ინტერესების დაცვა სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე, რის შემდგომაც, მან საჩივრის ავტორებს არ დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ნაწილი, რაც მას მიღებული ჰქონდა სასამართლოს ყველა ინსტანციაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნა, რომ მართალია, მხარეებს ხელშეკრულებით დადგენილი არ ჰქონდათ თითოეული ინსტანციის სასამართლოში იურიდიული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ჰონორარის ზუსტი ოდენობა, თუმცა ადვოკატს უფლება აქვს ის სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს ადვოკატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებული საადვოკატო მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 მ. კ 2006 წლიდან ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას ბ. თ-ის საქმესთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

4.2 2007 წლის 30 ივლისს ადვოკატსა და ბ. თ-ის შშობლებს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ადვოკატ მ. კ-ს უნდა დაეცვა ბ. თ-ის ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 1. მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- 2. ხელშეკრულება; (ს.ფ. 11)*

4.3 2006 წლის მაისის თვეში, საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ადვოკატ მ. კ-ს წინასწარ გადაუხადა 600 აშშ (დოლარი).

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;
2. ხელშეკრულება; (ს.ფ. 11)

4.4 ადვოკატმა მ. კ-მ განახორციელა ბ. თ-ის ინტერესების დაცვა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2011 წლის 04 ნოემბრის, 18 ნოემბრის, 28 ნოემბრის, 12 დეკემბრის, 22 დეკემბრის, 2012 წლის 05 იანვრის, 23 იანვრის, 06 თებერვლის, 14 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმები, (ს.ფ. 66-87);

განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

ადვოკატმა მ. კ-მა სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტი, კერძოდ, ს.ს.ი.პ ქალაქ თბილისის იურიდიული სამსახურის მიერ გაცემული N ორდერი, სადაც აღნიშნულია, რომ ის ბ. თ-ს იცავდა სახელმწიფოს ხარჯზე.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ მ. კ-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორის - თ. თ.-ის პოზიციის მიხედვით, ადვოკატ მ. კ-მა სასამართლოს არ წარუდგინა საჩივრის ავტორის მიერ გაცემული მინდობილობა, არამედ წარადგინა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაცემული ორდერი, რომლის მიხედვით, ის თითქოს ბ. თ.-ის ინტერესებს სახელმწიფო ხარჯზე იცავდა.

ადვოკატის განმარტების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმში მითითებულია, როგორც სახაზინო ადვოკატი, რაც წარმოადგენს მექანიკურ შეცდომას და განზრახ არ არის გამოწვეული მის მიერ.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. კ-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ მ. კ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

6.2 საჩივრის ავტორის თ. თ.-ის ახსნა-განმარტების მიხედვით, ირკვევა, რომ ადვოკატ მ. კ-ს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა დაეცვა მისი შვილის - ბ. თ.-ის ინტერესები სისხლის

სამართლის საქმეზე, ყველა ინსტანციის სასამართლოში, რისთვისაც მას საადვოკატო მომსახურების სახით გადაუხადა 600 აშშ (დოლარი), თუმცა საჩივრის ავტორის მითითებით, ადვოკატმა არაკვალიფიციურად დაიცვა ბ. თ-ის ინტერესები, მათ შორის არაკვალიფიციურად წარადგინდა შუამდგომლობები პროკურატურასა და სასამართლოში, არ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე იმ მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, რომლებიც საქმისთვის მნიშვნელოვანი იყო, სასამართლოს წინაშე ადვოკატის მიერ წარდგენილი დაცვითი სიტყვა და მოწმეთა მიმართ დასმული შეკითხვები არაკვალიფიციური იყო, ადვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდგომ, შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების გაწევა. აღნიშნულ გარემოებათა გამო, საჩივრის ავტორთა მოთხოვნა ადვოკატმა დააბრუნოს გადახდილი საადვოკატო მომსახურების ნაწილი. ადვოკატი მ. კ ადასტურებს, რომ ჰონორარის სახით მიიღო 600 აშშ (დოლარი), თუმცა მისი განმარტებით, მოცემული თანხა საქმის ხარჯებს ძლივს ფარავდა და არ იყო საკმარისი.

6.3 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე, ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია შეფასდეს ადვოკატის მიერ გაწეულ მომსახურებაზე დახარჯული დროის ოდენობა, საქმის სირთულე, ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების ინტენსივობა. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატი მ. კ 2006 წლიდან ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას ბ. თ-ის საქმესთან დაკავშირებით და მის ინტერესებს იცავდა სასამართლო პროცესებზე. (2011 წლის 04 ნოემბრის, 18 ნოემბრის, 28 ნოემბრის, 12 დეკემბრის, 22 დეკემბრის, 2012 წლის 05 იანვრის, 23 იანვრის, 06 თებერვლის, 14 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმები, ს.ფ. 66-87).

6.4 განხილვის კოლეგიამ დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის დასრულების შემდეგ, ბრალდებულის ოჯახის წევრებმა ბ. თ-ის დასაცავად მიმართეს სხვა ადვოკატს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების თაობაზე არაინფორმირებულობის გამო მ. კ ვერ დაესწრო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ბ. თ-ის წინააღმდეგ არსებული საქმის განხილვას, რაც საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებითაც დგინდება, რომ მათ შეუწყვიტეს ხელშეკრულება ვადაზე ადრე ადვოკატს და მ. კ უფლებამოსილი არ იყო გაეგრძელებინა საქმის წარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, ადვოკატის შემდგომი საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებული იყო კლიენტის ნებაზე და მოთხოვნაზე, რომ დაეცვა მისი ინტერესები ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. განხილვის კოლეგიას დადგინდა, რომ ერთის მხრივ, ბ. თ-ის მშობლების - თ. თ-ისა და მ. ყ-ისა და მეორეს მხრივ, თავად ადვოკატ მ. კ-ს შორის 2007 წლის 30 ივლისს დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ მოიცავს ჩანაწერს მოცემული ხელშეკრულების 1.2 პუნქტში, რომ: „დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი ასრულებს დავალებას, რაც გამოიხატება: 1. საადვოკატო მომსახურება; 1.2 პუნქტი: დაიცვას ბ. თ-ის ინტერესები, დროისა და გარემოებების გათვალისწინებით.“ ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით კი შემდეგი დანაწესია დადგენილი: „უზრუნველყოს შემსრულებელი საქმის სირთულის გათვალისწინებით, ტექნიკური და ფინანსური მხარე, რაც დაკავშირებულია დავალებასთან, რისი თანხაც მხარის მიერ წინასწარ გადახდილ იქნა 2006 წლის მაისის თვეში, კერძოდ, 600 (ექვსასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.“ დადგინდა ასევე, რომ მოცემული პირობის გარდა, 2.1 პუნქტში განისაზღვრა, რომ გამამართლებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში, დამკვეთს უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი, რაც მოიაზრებოდა, როგორც ჰონორარი.

6.5 საჩივრის ავტორის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი მ. კ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარდგენილი ორდერის საფუძველზე იცავდა ბ. თ-ის ინტერესებს, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინა, რომ ადვოკატი მ. კ არასოდეს ყოფილა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი, ამასთანავე, საჩივრის ავტორის მითითება, ადვოკატ მ. კ-ის ამ სამსახურის ორდერის წარდგენის თაობაზე ემყარება 2011 წლის 04 ნოემბრის სისხლის სამართლის საქმის № სხდომის ოქმს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი; ს.ფ. 66), რომელიც შედგენილია სასამართლოს მიერ და მისი ავტორი ადვოკატი მ. კ არ არის. მოცემულ საქმეში, წარმოდგენილი არ არის იურიდიული დახმარების სამსახურიდან გაცემული ორდერი მ. კ-ის სახელზე საჩივრის ავტორის შვილის დასაცავად, ასეთი ორდერი არც იმ სისხლის სამართლის საქმეს ერთვის, რითაც გასამართლდა ბ. თ. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. კ-ის მიმართ იურიდიული დახმარების სამსახურიდან გაცემული ორდერით დაცვის თაობაზე, ვერ იქნება გაზიარებული საპროცესო კოლეგიის მიერ მისი უსაფუძვლოების გამო და დადგენილია, რომ ადვოკატი ვერ დაიცავდა ბ. -თის ინტერესებს სახელმწიფო ხარჯზე სასამართლო პროცესზე, ამასთანავე, სხდომის ოქმში გაკეთებული ჩანაწერი ადვოკატ მ. კ-ის იურიდიული დახმარების სამსახურის ორდერით მონაწილეობის მიღების თაობაზე წარმოადგენს სხდომის მდივნის მიერ დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას და ამ შეცდომასთან ადვოკატ მ. კ-ის ქმედების კავშირი არ დგინდება.

6.6 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორებსა და ადვოკატს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობების გაანალიზებისა, სისხლის სამართლის საქმის 2006 წლიდან რამდენიმე წლიანი წარმოებისა, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ხანგრძლივობის შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. კ-ის მიერ არ დგინდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტის დარღვევა და შესაბამისად, არ არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

III ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 21-ე, 33-35 მუხლებით, 37 მუხლით, 40-ე მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

- 1. დისციპლინურ საქმეზე №037/16 ადვოკატ მ. კ-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
- 2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
- 3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი:

/ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი:

/სულხან ონიანი/